შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი" სასწავლო

უნივერსიტეტის

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი

2025

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება.....3

მუხლი 3. სწავლის შედეგის მიღწევების შეფასება/შეფასების სისტემა.....7

მუხლი 4. შეფასების კრიტერიუმები: 15

მუხლი 5. დასკვნით გამოცდის გადავადება, ჩაჭრა, გასაჩივრება.....37

მუხლი 6. სასწავლო წლის რეგლამენტი.....37

მუხლი 7. დამატებითი სემესტრი 39

მუხლი 8. კრედიტის ხელახლა ათვისება 39

მუხლი 9. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი 40

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება/შეცვლა.....40

მუხლი 11 . საბაკალავრო ნაშრომის დაცვა 40

მუხლი 12 . სამცნიერო -კვლევითი და რეფერატული პროექტის მოპოვების პროცედურა 41

მუხლი 13. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემუშავების წესი 42

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წინამდებარე წესი (შემდგომში „წესი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე და განსაზღვრავს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები (ბლოკები) შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

3. სამედიცინო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი დიპლომამდელი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს.

3. სტომატოლოგიის პროგრამა არის ერთსაფეხურიანი დიპლომამდელი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული სტომატოლოგიის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებათა სკოლის აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი. პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (ქვეყნის , რეგიონი, აბიტურიენტის, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს, ხოლო რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაში, პროგრამის შემუშავების ნებართვას სკოლის საბჭოსაგან იღებს პროგრამის ხელმძღვანელი დეკანთან შეთანხმებით;

2.1.სკოლის საბჭოს ნებართვის შემდეგ რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი;

2.2. შემუშავებული პროგრამა გადაეცემა დეკანსა და ხარისხის სამსახურს;

2.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება პროგრამაზე გასცეს შემდეგი სახის დასკვნა: შეესაბამება, არ შეესაბამება, ან ნაწილობრივ შეესაბამება და ექვემდებარება გასწორებას.

2.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის და სკოლის წარდგინების საფუძველზე (სკოლის საბჭოს დადებითი დასკვნის შედეგად) პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

3. უკვე არსებული პროგრამის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ მცირე ცვლილებებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში, დეკანის წარდგინებით ამტკიცებს მხოლოდ საკოლის საბჭო, ხოლო ცვლილებებს, რამაც შეიძლება შეცვალოს სწავლის შედეგები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში, დეკანის წარდგინებით განიხილავს სკოლის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და მის ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი/ები - უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალი, ან რიგ შემთხვევაში დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირი.

4. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე დატანილი უნდა იყოს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის" ლოგო, ასევე უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის სრული დასახელება, შესაბამისი სკოლა, უმაღლესი განათლების საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებით, პროგრამის ხელმ-ძღვანელი/ები, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ სკოლის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

ა. სწავლების ენა

ბ. პროგრამის მიზანი - რომელმაც უნდა გამოუმუშაოს სტუდენტს დასაქმების ბაზარზე მორგებული დარგობრივი კომპეტენციები. აღწერილი და დასაბუთებული უნდა იქნეს პროგრამის აქტუალობა და კურსდამთავრებულის მიმართ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები;

გ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - უნდა მიეთითოს, როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა, რა წინაპირობები არსებობს პროგრამაზე დასაშვებად; წინაპირობა უნდა იქნეს მითითებული როგორც საქართველოს, ასევე უხო ქვეყნის მოქალაქეებისათვისაც.

დ. სწავლება-სწავლის შედეგები - განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (უნარები) და როგორი პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის უნარი უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერება, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

ე. სწავლება-სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს სწავლება-სწავლის რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ვ. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული, პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული(ბლოკი) შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც შეფასების კრიტერიუმებთან ერთად დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის (ბლოკის) სილაბუსში);

ზ. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - პროგრამას დანართის სახით უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება (დანართი 1):

- სასწავლო კურსის კოდი *;
- სახელწოდება;
- მოცულობა კრედიტებით;
- სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია, სემინარი, სწავლება სიმულაციურ გარემოში, სწავლება კლინიკური გარემოში, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, შუალედური/ბლოკის და დასკვნითი გამოცდები და დამოუკიდებელი მუშაობა) გათვლილი აკადემიურ საათებში**;
- კრედიტების გადანაწილება სემესტრების მიხედვით.

თ. პროგრამას ასევე უნდა დაერთოს სასწავლო გეგმა საათებით და წინაპირობებით (დანართი 2)

ი. პროგრამას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ძირითადი საწავლო კურსისა თუ მოდულის, ურთიერთმიმართებას იმ სწავლის შედეგებთან, რომელიც გაწერილია დარგობრივ მახასიათებელში. რუკაში უნდა იქნეს მითითებული თითოეული სასწავლო კურსი/მოდული რა დონით გადის ამა თუ იმ სწავლის შედეგზე (დანართი 3);

კ. პროგრამას უნდა დაერთოს სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები;

სილაბუსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (დანართი 4):

- სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება;
- სასწავლო კურსის კოდი;
- სემესტრი;
- სასწავლო კურსის/მოდულის ტიპი (სავალდებულოა თუ არჩევითი);
- საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად და კრედიტების რაოდენობა;
- სკოლისა და პროგრამის სახელწოდება;
- სასწავლო კურსის განმახორციელებაში ჩართული პერსონალი და მათი საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სასწავლო კურსის/მოდულის განხორციელების ვადა კვირეებში, ან დღეებში;
- დაშვების წინაპირობა;
- სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- ძირითადი ლიტერატურა;
- დამხმარე ლიტერატურა;
- სწავლის შედეგები დანართის სახით;
- სასწავლო კურსის შინაარსი დანართის სახით;

(რეკომენდებულია სილაბუსი შესრულდეს დანართ 4-ში მოცემული ფორმატით ინგლისურ ენაზე).

ლ. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

მ. ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;

ნ. საგანმანათლებლო პროგრამაზე უნდა იყოს მითითებული დამტკიცების აქტის თარიღი და ნომერი.

6.საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას.

7. (*) კოდირების სისტემა ემყარება სამედიცინო და არასამედიცინო საგნების ლათინური დასახელების პირველ სამი ასობგერისა და ციფრების გამოყენებას. სამედიცინო საგნები აღინიშნება “MED” აბრევიატურით, სტომატოლოგიური საგნები “DEN”, ხოლო არასამედიცინო და არასტომატოლოგიური - “NMED”, “ENG”, “GEO”, ‘GER”, “NDEN” და სხვა და ციფრებით, სადაც 1000 აღნიშნავს პირველი სასწავლო წლის სასწავლო კურსებს, 2000 -მეორე, 3000 -მეასამე და ა. შ; კენტი ციფრები უმეტესად აღნიშნავს შემოდგომის შემესტრის სასწავლო კურსებს, ხოლო ლუწი -გაზფხულის. არჩევითი სამედიცინო და სტომატოლოგიური დარგობრივი სასწავლო კურსის კოდებია: „MEDEL“ და „DENEL“; არჩევითი არადარგობრივი კურის კოდებია: „NDEL“ და „NMEL“.

მუხლი 3. სწავლის შედეგის მიღწევების შეფასება/შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტს კრედიტი ენიჭება სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც დასტურდება მის მიერ მიღებული დადებითი შეფასებით. უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

1. მიმდინარე აქტივობას, რომელიც ჩატრდება შემდეგი ფორმატით: სემინარი (სემინარზე შეიძლება განხორციელდეს ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, პროექტის მომზადება-წარდგენა, პოსტერის მომზადება-წარდგენა, პრობლემაზე დაფუძნებული და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული ქეისების განხილვა, როლური თამაში, წერით დავალებების განხილვა, სასწავლო კურსის/ ან მოდულის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე რაიმე სხვა აქტივობა, რაც დაწვრილებით არის გაწერილი სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში),

ლაბორატორიულ მეცადინეობა, სიმულაციურ გარემოში სწავლება (სწავლება მანეკენებზე, სიმულატორებზე, სწავლება ვირტუალურ პაციენტზე (Body Interact) და გვამზე) და კლინიკურ გარემოში სწავლება (სწავლება პაციენტის საწოლთან კლინიკური პრაქტიკის დროს).

2. შუალედურ/ბლოკის გამოცდას
3. დასკვნით გამოცდას, რომელიც სავალდებულოა ყველა სასწავლო კურსისათვის.

3.1. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტმა მოდულში (ბლოკში) ინტეგრირებული სწავლებისას

ინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში გამოიყენება სწავლების ბლოკური პრინციპი, სადაც ერთი მოდულის (ბლოკის) ფარგლებში გაერთიანებულია ორი (2) ან/და მეტი სასწავლო კურსი. აღნიშნული სასწავლო კურსების სკითხები მოდულში ინტეგრირებულია ორგანოთა სისტემების მიხედვით და დალაგებულია მარტივიდან რთულისაკენ. სხვადასხვა სასწავლო კურსს ბლოკში ეთმობა განსხვავებული საათების რაოდენობა, მიზნისა და მისაღწევი შედეგიდან გამომდინარე. მაგალითად: ბლოკ **MED 1001-ში** გაერთიანებულია შვიდი სასწავლო კურსი, ბლოკის (მოდულის) საათების საერთო რაოდენობა შეადგენს **80-ს,** სადაც ცალკეული სასწავლო კურსის საათების გადანაწილების შესაბამისად გამოთვლილია სასწავლო კურსის პროცენტული წილი მოდულში, რომლის მიხედვითაც ბლოკის გამოცდაზე ნაწილდება საგამოცდო ტესტების ან საკითხების რაოდენობა.

პროცენტული წილის გათვალისწინებით პედაგოგის მიერ უნდა მომზადდეს საკითხების შესაბამისი რაოდენობა ბლოკის გამოცდისათვის.

3.1.1. შეფასების ფორმები და მათი თანაფარდობა მოდულში (ბლოკში)

სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება: **ბლოკის მიმდინარეობისას სტუდენტის სხვადასხვა აქტივობის შეფასება** (შედგება ბლოკის ფარგლებში განხორციელებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ან კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL), ერთი პრეზენტაციისა და ლაბორატორიული (ერთი ან რამოდენიმე) მუშაობის შეფასების ჯამისაგან)**, ბლოკის გამოცდის შეფასება და დასკვნითი გამოცდის შეფასება** (ცხ. 1). ბლოკის საბოლოო შეფასების მაქსიმუმი 100%-ია, მინიმუმი კი - 51%.

ცხრილი 1

შეფასების ფორმები და მათი თანაფარდობა

ბლოკის საბოლოო შეფასება 100 % (51 – 100 ქულა)				
ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება 20%			**ბლოკის გამოცდა 40%**	**დასკვნითი გამოცდა - 40%**
I კომპონენტი (PBL, ან CBL) 10%	**II კომპონენტი (ლაბ)* 5%**	**III კომპონენტი (PPT) 5%**		

(*) თუ ბლოკში არის რამდენიმე ლაბორატორიული მეცადინეობა, მაშინ ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით.

- **ბლოკის მიმდინარე აქტივობის** შეფასება, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში, მისი წილი შეფასებაში 20%-ია;
- **ბლოკის გამოცდა** შეიძლება იყოს წერითი, ან ტესტირებული, **მისი** წილი საერთო შეფასებაში არის 40%;
- **ბლოკის დასკვნითი გამოცდა** ინერგირებულია საგნობრივად და ზეპირი, ან MCQ (ან კომბინირებული- MCQ და წერითი) სახისაა. მისი წილი საერთო შეფასებაში არის 40%.

3.1.2. ბლოკის მიმდინარე აქტივობის შეფასება

ბლოკში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსის მიმდინარე აქტივობის შეფასება ხდება ინტეგრირებულად პრობლემაზე დაფუძნებული ან კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული ქეისის შეფასების მეშვეობით, ასევე, პრეზენტაციის მეშვეობით, რომელის თემატიკაც ინტეგრირებულია და შერჩეულია ბლოკში შემავალი სასწავლო

კურსების მიხედვით. ლაბორატორიული შეფასება ტარდება თითოეული სასწავლო კურსში ინდივიდუალურად და საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულთ, რომელიც ემატება სხვა აქტივობების შეფასების ქულას. თითოეული სასწავლო კურსის პედაგოგს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა სახის აქტივობები და გამოიყენოს ფორმატიული შეფასებაც.

3.2. შუალედური/ბლოკის გამოცდის სახეები და შეფასება

სემესტრის მანძილზე თითოეულ ბიოსამედიცინო სასწავლო კურსში სასწავლო კურსის შუაში სტუდენტს უტარდება ერთი შუალედური გამოცდა, ხოლო მოდულის (ბლოკის) შემთხვევაში ბლოკის დასრულების შემდეგ. კლინიკურ სასწავლო კურსებში ტარდება ერთი შუალედური გამოცდა როტაციის შუაში, ან მოკლე როტაციის შემთხვევაში როტაციის დასრულების შემდეგ.

3.2.1. ბლოკის გამოცდა (შუალედური) ტარდება ტესტირებული, ან კომბინირებული ფორმით (ტესტი და ქეისი, ან ტესტი და ინტეგრირებული წერითი საკითხი) კომპიუტერთან. მხოლოდ ტესტირებული ფორმის შერმთხვევაში ტესტი შედგება დახურული მრავლობითპასუხიანი კითხვებისაგან, სადაც პასუხების რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს ოთხისა, რომელთაგან სწორი პასუხი მხოლოდ ერთი, ან რამდენიმეა (ერთი კითხვის მაქსიმალური შეფასებაა 0,5 ქულაა); ტესტში სხვადასხვა სასწავლო კურსიდან კითხვების რაოდენობა განისაზღვრება მოდულში შემავალი საგნის პროცენტული წილის მიხედვით, კითხვების მინიმალური რაოდენობაა 80. ბლოკის გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40.

3.2.1.1. კომბინირებული ბლოკის გამოცდის შემთხვევაში ტეტსტების რაოდენობა არის 40, თითოეულის მაქსიმალური შეფასება 0,5 ქულაა. ტესტი შედგება დახურული მრავლობითპასუხიანი კითხვებისაგან, სადაც პასუხების რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს ოთხისა, რომელთაგან სწორი პასუხი მხოლოდ ერთი, ან რამდენიმეა; ტესტში სხვადასხვა სასწავლო კურსიდან კითხვების რაოდენობა განისაზღვრება ბლოკში შემავალი საგნის პროცენტული წილის მიხედვით.

კომბინირებული გამოცდის მეორე ნაწილია სიტუაციური ამოცანა, ან კლინიკური შემთხვევა (წერილობით მსჯელობა) მაქსიმალური შეფასება 5 ან 10 ქულაა სირთულიდან გამომდინარე. ბლოკის გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა **40 ქულა.**

3.2.1.2. ბლოკის გამოცდის ტესტურ ნაწილში თითოეულ საგანს აქვს 20% ბარიერი. თუ სტუდენტი ვერ გადალახავს ამ ბარიერს ერთ საგანში მაინც, გამოცდა არ ეთვლება

ჩაბარებულად. ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ბლოკის გამოცდა გადააბაროს 2-3 დღეში.

3.2.2. განგრძობით საგნებში შუალედური გამოცდა ტარდება წერილობით, ან ტესტის სახით. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი სახით სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში. თითოეული შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა **20 ქულა.**

3.2.2.1. წერითი სახის შუალედური გამოცდა შეიძლება იყოს:

ა) რამდენიმე თემიდან ერთ-ერთის შერჩევა (ბილეთის სახით)-მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

ბ) ოთხი საკითხი სხვადასხვა თემიდან (ბილეთის სახით). თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;

გ) სიტუაციური ამოცანა, ან კლინიკური შემთხვევა (წერილობით მსჯელობის ჩამოყალიბება) მაქსიმალური შეფასება 5 ან 10 ქულა სირთულიდან გამომდინარე.

3.2.2.2. ტესტის სახით გამოცდა შეიძლება იყოს დახურული მრავლობითპასუხიანი შეკითხვა, ან/და ქეისი სადაც პასუხების რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს ოთხისა, რომელთაგან სწორი პასუხი მხოლოდ ერთი ან მეტია და მაქსიმალური შეფასებაა 0,5, ან 1, ან 5, ან 10 ქულაა სირთულიდან გამომდინარე. ასევე შესაძლებელია გამოცდა ჩატარდეს ღია კითხვის, გამოტოვებული სიტყვის, ან განმარტების ჩაწერის სახით, ამ შემთხვევაში ერთი კითხვის შეფასების მაქსიმუმი 1 ქულაა.

3.3. დასკვნითი გამოცდის სახეები და შეფასება

სტუდენტის **დასკვნით გამოცდაზე** დაშვების წინაპირობაა ლექციებზე და ლაბორატორიულ/სემინარულ და სხვა მეცადინეობებზე დასწრება. სტუდენტი უნდა დაესწროს სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 95%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის **დასკვნით გამოცდაზე** არ დაიშვება და დასკვნითი გამოცდა ჩაჭრილად ეთვლება.

დასკვნითი გამოცდა როგორც მოდულში (ინტეგრირებულ ბლოკში), ასევე ცალკეულ სასწავლო კურსებში ტარდება სემესტრის ბოლოს სასესიო პერიოდში.

დასკვნითი გამოცდისას, საგამოცდო თემატიკა მოიცავს მთლიანად სასწავლო კურსის/მოდულის განვლილ მასალას და ტესტიტების შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი ორ ვარიანტად. დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობითი, ტესტირებული, ზეპირი, კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასების ან კომბინირებული სახით სასწავლო კურსის/მოდულის მიზნებიდან გამომდინარე, რაც

დეტალურად გაწერილია შესაბამის სილაბუსში. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა **40 ქულა.**

3.3.1.**მოდულის** (ინტეგრირებული ბლოკის) დასკვნითი გამოცდა ტარდება კომბინირებული სახით: ზეპირი ან წერითი ფორმით ინტეგრირებული 4 საკითხი თითოეულის შეფასება 5 ქულა, - მაქსიმალური შეფასება 20 ქულა და და წერილობითი ფორმით ტესტი (MCQ), ან კლინიკურ ქეისების ირგვლივ მსჯელობა (2 ქეისი/შეკითხვა თითოეული 10 ქულიანი) მაქსიმალური შეფასებაა **20 ქულა.** გამოცდა ტარდება კომისიური წესით.

3.3.2. **სასწავლო კურსის** დასკვნითი გამოცდა შეიძლება იყოს წერითი, ტესტი (MCQ), ზეპირი, პროექტის დაცვა, OSCE, OSPE, MiniCex, ან კომბინირებული სახის.

3.3.2.1. წერითი სახის დასკვნითი გამოცდა შეიძლება იყოს:

ა) ოთხი საკითხი სხვადასხვა თემიდან (ბილეთის სახით). თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება 10 ქულა;

ბ) სიტუაციური ამოცანა, ან კლინიკური შემთხვევა (წერილობით მსჯელობა) მაქსიმალური შეფასება 5-10 ქულა სირთულიდან გამომდინარე.

3.3.2.2. ტესტის სახით გამოცდა შეიძლება იყოს:

ა) დახურული მრავლობითპასუხიანი 80, ან 100 კითხვა, სადაც პასუხების რაოდენობა თითოეულ კითხვაზე უნდა იყოს არაუმცირეს ხუთისა, რომელთაგან სწორი პასუხი მხოლოდ ერთია და მაქსიმალური შეფასებაა 0,5 ან 0,4 ქულა.

ბ) დახურული მრავლობითპასუხიანი, სადაც პასუხების რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს ხუთისა, რომელთაგან სწორი პასუხი შეიძლება იყოს ორი, სამი, ოთხი. შეფასება სწორი პასუხების რაოდენობიდან გამომდინარე იქნება დიფერენცირებული ერთიდან ორ ქულამდე; ტესტების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად სწორი პასუხების მაქსიმალური ქულიდან გამომდინარე ისე, რომ ჯამში შეადგენდეს 40 ქულას;

გ) ღია ტესტი, სადაც სტუდენტმა თავად უნად ჩაწეროს მოკლე ერთსიტყვიანი პასუხი, მაქსიმალური შეფასება ერთი ქულა;

დ) შესაძლებელია ა, ბ გ პუნქტებში ხსენებული ტესტებით კომბინირებული;

3.3.2.3. ზეპირი სახით დასკვნითი გამოცდა შეიძლება იყო:

ა)რვა საკითხი სხვადასხვა თემიდან (ბილეთის სახით), პასუხი უნდა გაიცეს ზეპირად, თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება 5 ქულა;

ბ) სიტუაციური ამოცანის, ან კლინიკური შემთხვევის ირგვლივ მსჯელობა ზეპირად. მაქსიმალური შეფასება 5 ან 10 ქულა სირთულიდან გამომდინარე, რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად პედაგოგის მიერ;

გ) ხუთი საკითხი თითოეული 8 ქულა.

დ)ა, ბ პუნქტებში ხსენებული სკითხებით კომბინირებული;

3.3.2.4. კომბინირებული (ზეპირი და წერითი) დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში დასაშვებია ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც მოიცავს: ზეპირ ან წერით საკითხებს ან/და სიტუაციურ ამოცანებს, ან/და პაციენტის ისტორიის შევსებას, ან/და კლინიკური უნარების შეფასებას სხვადასხვა მეთოდებით და სხვა, რაც გამომდინარეობს სასწავლო კურსის/მოდულის მიზნებიდან და ასახულია სილაბუსში.

3.3.2.5. საბაზისო ინტეგრირებულ სასწავლო კურსებში დასკვნითი გამოცდები ტარდება კომბინირებულად, ამასთანავე პირველი და მეორე წლის ბლოკებში ერთი ინტეგრირებული საკითხი თითოეული 5-ქულიანი წერითი სახით და 60 ტესტი-მაქსიმუმ 30 ქულა.

მესამე წლის ბლოკებში 4 კლინიკური ქეისი წერით, თითოეული 10-ქულიანი.

3.3.3. სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ბლოკში ეთვლება ჩაბარებულად თუ გადალახავს გამოცდის 50, 55, ან 60%% ბარიერს (სასწავლოკურსების მიხედვით), მაგრამ თუ მისი ჯამური შეფასება (მოდულის შემთხვევაში: მიმდინარე აქტივობის შეფასება+ბლოკის გამოცდის შეფასება+დასკვნითი გამოცდის შეფასება) 40-ზე მეტია და 51-ზე ნაკლები, მიუხედავად იმისა, რომ გადალახული აქვს დასკვნითი გამოცდის ბარიერი, ბლოკი ათვისებულად ვერ ჩაითვლება და გადაბარების უფლება აქვს დამატებითი გამოცდის პერიოდში.

სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ცალკეულ სასწავლო კურსში ეთვლება ჩაბარებულად, თუ ის გადალახავს გამოცდის ბარიერს, რომელიც სხვადასხვა სასწავლო კურსების მიხედვით განსხვავდება და გაწერილია დეტალურად სილაბუსებში, მაგრამ თუ სტუდენტის ჯამური შეფასება (სასწავლო კურსის შემთხვევაში: მიმდინარე აქტივობის შეფასება+შუალედური გამოცდის შეფასება+დასკვნითი გამოცდის შეფასება) 40-ზე მეტი და 51-ზე ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ გადალახული აქვს დასკვნითი გამოცდის ბარიერი, სასწავლო კურსი ათვისებულად ვერ ჩაითვლება და გადაბარების უფლება აქვს დამატებითი გამოცდის პერიოდში.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დამატებითი გამოცდების კვირაში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან, არანაკლებ 5 დღისა.

თუ ბლოკის/სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება დამატებითი გამოცდების (გადაბარების) შემდეგ (მოდულის შემთხვევაში: მიმდინარე აქტივობის შეფასება+ბლოკის გამოცდის შეფასება+დასკვნითი გამოცდის შეფასება; სასწავლო კურსის შემთხვევაში: მიმდინარე აქტივობის შეფასება+შუალედური გამოცდის შეფასება+დასკვნითი გამოცდის შეფასება) 51%-ზე ნაკლებია, მაშინ ბლოკი/სასწავლო კურსი არ ეთვლება ათვისებულად და თავიდან უნდა გაიაროს ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია და ხელახლა უნდა შეისწავლოს საგანი.

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება გამოცდების ბარიერების გადალახვისა და 51-დან 100-მდე ქულის დაგროვების შემთხვევაში.

პროგრამით გათვალისწინებული სწვლის შედეგების საბოლოო შეფასება ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფითი შეფასებას.

სტუდენტის ECTS სისტემით შეფასება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულა	**შეფასება**	**GPA (Grade Value)**
91-100 (A)	ფრიადი	4.0
81-90 (B)	ძალიან კარგი	3.0
71-80 (C)	კარგი	2.0
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი	1.0
51-60 (E)	საკმარისი	0.5
41-50 (FX)	ვერ ჩაბარა - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.	0.0
0-40 (F)	ჩაიჭრა - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს გასავლელი	0.0

სტუდენტის მიერ ცალკეულ სასწავლო კურსების/მოდულების დარეგისტრირება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით ელექტრონული მართვის სისტემაში.

შეფასების 100-ქულიანი სისტემა ვრცელდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტზე და სხვა სახის ნაშრომზე.

უნივერსიტეტში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) როგორც 100%, ასევე 4 ხარისხიანი სისტემა. შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად 100% დიაპაზონში სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების საერთო ჯამზე. კერძოდ: GPA = ΣGP X CR/ Σ CR, სადაც GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს. შეფასების საშუალო მაჩვენებლის გადასაყვანად 4 ხარისხიან სისტემაზე 100%-იანი სისტემით გამოთვლილი ციფრი იყოფა 20 - 1 -ზე.

სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები (მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი გამოცდა) ფორმდება საგამოცდო უწყისში ელექტრონულად (დანართი 5), ხოლო წლის ბოლოს ავტომატურად ივსება სასწავლო ბარათი ელექტრონულ სისტემაში (დანართი 6).

მუხლი 4. შეფასების კრიტერიუმები:

სასწავლო კურსში/მოდულში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სახვადასხვა მეთოდები განისაზღვრება კურსის განმახორციელებელი პედაგოგის მიერ და მიეთითება შესაბამის სილაბუსში. ძირითადად გამოიყენება შეფასების 5-10 ქულიანი სისტემა რომელთა კრიტერიუმები დეტალურად არის ჩაშლილი ქვემოთ, კერძოდ:

4. 1. ქვიზის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა)

ქვიზი -მრავლობითპასუხიანი შეკითხვა. ერთი კითხვის სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება 0,4-1 ქულაა, სირთულის მიხედვით. ქვიზების რაოდენობას მიმდინარე აქტივობისას საზღვრავს კონკრეტული პედაგოგი თითოეულ საგანში.

4.2. ჯგუფში მუშაობის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

10 ქულა – საკითხი იცის ღრმად და საფუძვლიანად: გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. სტუდენტი სხარტად აზროვნებს და გადმოსცემს მოსაზრებას დასმული პრობლემური შეკითხვის ირგვლივ. პასუხი ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

9 ქულა – საკითხი იცის საფუძვლიანად: გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად.სტუდენტი აზროვნებს, მაგრამ დასმული პრობლემური შეკითხვის ირგვლივ აზრის გადმოცემისას ნაკლებ დამაჯერებელია. პასუხი ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს ძირითადი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

8 ქულა – საკითხი იცის საფუძვლიანად: გადმოსცემს თანმიმდევრობით.სტუდენტი აზროვნებს, მაგრამ დასმული პრობლემური შეკითხვის ირგვლივ აზრის გადმოცემისას ნაკლებ ლაკონურია. ტერმინოლოგიურად გამართულია. ჩანს ძირითადი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

7 ქულა – საკითხი იცის ნაკლებ საფუძვლიანად: პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, პრობლემურ შეკითხვაზე უჭირს მსჯელობა. პასუხი ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, ავლენს საკითხების საშუალო დონისცოდნას, ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა. უჭირს დასკვნების გაკეთება.

6 ქულა – პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, ავლენს საკითხების საშუალო დონისცოდნას, უჭირს დასკვნების გაკეთება.

5 ქულა – პასუხი არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, პრობლემური შეკითხვას ვერ პასუხობს. ავლენს საკითხების საშუალო დონისცოდნას, უჭირს დასკვნების გაკეთება.

4 ქულა – პასუხი ზოგადი ხასიათისაა,ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, შინაარსობრივი თანმიმდევრობადარღვეულია. არ ჩანს ლიტერატურის გამოყენებისსათანოდოდ ფლობა.

3 ქულა – პასუხი ზოგადი ხასიათისაა,შინაარსობრივი თანმიმდევრობადარღვეულია. უჭირს მსჯელობა და აზროვნება საკითხის ირგვლივ. არ ჩანს ლიტერატურის გამოყენებისსათანოდოდ ფლობა.

2 ქულა – პასუხი ზოგადია, საერთოდ არ ჩანს მსჯელობის უნარი, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია.

1 ქულა – პასუხი არადამაკმაყოფილებელია, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, მასალის გადმოცემა ქაოტური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მცდარი, არ იცნობს ლიტერატურას.

0 ქულა– სტუდენტი საერთოდ ვერ ავლენს საკითხების გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

4.3. ლაბორატორიული მუშაობის შეფასების კრიტერიუმები (5 ქულა):

5 ქულა: ლაბორატორიული მეთოდი სწორად არის დაგეგმილი, სტუდენტი ზუსტად იყენებს ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურას, შეუძლია სწორად მეთოდის ჩანაწერების წარმოება, მარტივად აღმოაჩენს დაშვებულ შეცდომას და გეგმავს გამოსწორების გზას. შეუძლია ჩატარებული მეთოდის გაანალიზება და შედეგების ინტერპრეტაცია. ლაბორატორიული სამუშაო ზუსტად და ამომწურავად არის შესრულებული.

4 ქულა: ლაბორატორიული მეთოდი სწორად არის დაგეგმილი, სტუდენტი ავლენს სათანადო ცოდნას ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურის გამოყენებისას, შეუძლია სწორად მეთოდის ჩანაწერების წარმოება, მარტივად აღმოაჩენს დაშვებულ შეცდომას და გეგმავს გამოსწორების გზას. მაგრამ უჭირს შედეგების ანალიზი. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია მცირედი ხარვეზებით.

3 ქულა: ლაბორატორიული მეთოდი სწორად არის დაგეგმილი, სტუდენტი ვერ ავლენს სათანადო ცოდნას ლაბორატორიული ხელსაწყოების გამოყენებისას, აპარატურის გამოყენებისას უშვებს მცირედ შეცდომებს, შეუძლია სწორად მეთოდის ჩანაწერების წარმოება,, მაგრამ ვერ ამჩნევს დაშვებულ შეცდომებს, და შესაბამისად უჭირს გამოსწორების გზის ძიება. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია მცირედი ხარვეზებით.

2 ქულა: ლაბორატორიული მეთოდის დაგეგმვაში დაშვებულია მცირედი შეცდომები, სტუდენტი ვერ ავლენს სათანადო ცოდნას ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურის გამოყენებისას, შეუძლია სწორად მეთოდის ჩანაწერების წარმოება,, მაგრამ ვერ ამჩნევს დაშვებულ შეცდომებს, და შესაბამისად უჭირს გამოსწორების გზის ძიება. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია არსებითი ხარვეზებით.

1 ქულა: ლაბორატორიული მეთოდის დაგეგმვაში დაშვებულია არსებითი შეცდომები, სტუდენტი თითქმის არ იცნობს ლაბორატორიულ ხელსაწყო-აპარატურის გამოყენების წესებს, შეუძლია მეთოდის ჩანაწერების გაკეთება, მაგრამ ვერ ამჩნევს დაშვებულ შეცდომებს, და შესაბამისად უჭირს გამოსწორების გზის ძიება. ლაბორატორიული სამუშაო შესრულებულია არსებითი ხარვეზებით.

0 ქულა: სტუდენტმა საერთოდ არ იცის ლაბორატორიული მეთოდი და ხელსაწყო-აპარატურა. სამუშაო არ არის შესრულებული.

4. 4. პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

1. პრობლემის აქტუალობა - 2 ქულა;

2. აკადემიური მხარე - 2 ქულა;
3. საკითხის ირგვლივ არსებული თანამედროვე ლიტერატურის (მონაცემების) მიმოხილვა- 2 ქულა;
4. მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 2 ქულა;
5. კამათის და მოსმენის კულტურა- 1 ქულა;
6. გამართული ენა და სტილი- 1 ქულა;

4.5. ინდივიდუალური პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები ინტეგრირებულ ბლოკში (5 ქულა):

1. თეორიული ცოდნის დემონსტრირება - 3 ქულა

- საგანი „A" -3ქულა;
- საგანი "B"- 3 ქულა;
- საგანი "C" - 3 ქულა;

2. აკადემიური მხარე და დიზაინი - 1 ქულა;

- მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 0,5ქულა;
- საკითხის ირგვლივ არსებული თანამედროვე ლიტერატურის (მონაცემების) მიმოხილვა- 0,5ქულა; ქულა;

3. წარდგენისა და კომუნიკაციის უნარი - 1 ქულა;

- კამათის და მოსმენის კულტურა- 0,5ქულა;
- გამართული ენა და სტილი - 0,5ქულა;

4.6. პრეზენტაცია- **10 ქულა (**მოცემული თემის შესახებ სტუდენტმა ინდივიდუალურად უნდა მოამზადოს და წარადგინოს პრეზენტაცია PPT ფორმატში)

შეფასების კრიტერიუმი

10-9 ქულა: პრეზენტაცია ზეპირად წარდგენილია ჯგუფის წინაშე, თემა მომზადებულია აქტუალურ, თანამედროვე ინფორმაციაზე დაყრდნობით, პრეზენტაციის თემა სრულად წარმოდგენილია, ძირითადი საკითხები გამოკვეთილია, დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი წარმოჩენილია. სტუდენტს გამოყენებული აქვს ფოტო და ვიდეო მასალა, პრეზენტაცია წარმოდგენილია კომპიუტერიზებულ ფორმატში, წყაროები მითითებულია (სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, ვებგვერდები). ზეპირი პრეზენტაცია თანმიმდევრულია, ჩანს ლოგიკური მსჯელობის უნარი, ინფორმაცია დეტალებში კარგად გამოკვეთილია, სტუდენტი თემას წარადგენს

სრულყოფილად, დრო დაცულია. სტუდენტი სრულად, სწორად და ლოგიკურად სცემს პასუხს დასმულ შეკითხვებს

8-7 ქულა: პრეზენტაცია ზეპირად წარდგენილია ჯგუფის წინაშე, თემა მომზადებულია მოძველებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. პრეზენტაციის თემა ასახავს ძირითად საკითხს, თუმცა დეტალები არ არის გათვალისწინებული, ვიზუალური მასალა არ არის გამოყენებული, წყაროები არ არის სათანადოდ მითითებული (სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, ვებგვერდები). ზეპირ პრეზენტაციას აკლია თანმიმდევრულობა. ლოგიკური აზროვნება ნაწილობრივ ჩანს. სტუდენტი ვერ წარადგენს თემას სრულყოფილად, დრო არ არის დაცული. სტუდენტი ვერ სცემს სათანადო პასუხებს კითხვებს.

6-5 ქულა- პრეზენტაცია ზეპირად წარდგენილია ჯგუფის წინაშე, პრეზენტაციის მომზადების დროს წყაროები არ არის საკმარისი რაოდენობით გამოყენებული. ძირითადი საკითხები ნახსენებია, თუმცა დეტალები არ არის განხილული, ვიზუალური მასალა არ არის გამოყენებული, წყაროების სია არ არის სათანადოდ მითითებული. სტუდენტი ვერ სცემს ადეკვატურ პასუხებს კითხვებს.

4-3 ქულა- პრეზენტაცია ზეპირად წარდგენილია ჯგუფის წინაშე, თემა მომზადებულია მოძველებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თემის მომზადების პროცესში ცოტა წყაროა გამოყენებული, ძირითადი საკითხები არ არის სათანადოდ აღწერილი, ვიზუალური მასალა არ არის გამოყენებული. ზეპირი პრეზენტაცია არ არის თანმიმდევრული. სტუდენტი ვერ წარადგენს თემას სრულყოფილად, დრო არ არის დაცული. სტუნდეტი ვერ პასუხობს კითხვებს.

2-1 ქულა- პრეზენტაცია ზეპირად წარდგენილია ჯგუფის წინაშე. თემა მომზადებულია მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით და არ არის სათანადოდ გამყარებული. პრეზენტაციის ფორმატი შეუფერებელია, ვიზუალური მასალა არ არის გამოყენებული, სტუნდეტი ვერ პასუხობს კითხვებს.

0 ქულა- პრეზენტაცია არ არის ჩატარებული.

4.7. I დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა)

1. წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის არგუმენტირებულობა -2 ქულა;
2. წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის კომპლექსურობა -2 ქულა;
3. დისკუსიაში ჩართულობა-2 ქულა;
4. კამათის და მოსმენის კულტურა-2ქულა;
5. რეგლამენტის დაცვა-2 ქულა.

4.8. II დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა)

1. კარგად სტრუქტურირებული არგუმენტების მოყვანის უნარი -2 ქულა;
2. რელევანტური კონცეფციების, თეორიების, და მასალების გამოყენების უნარი წყაროებზე დაყრდნობითა და ციტირებით - 2 ქულა;
3. ცხარე კამათისას სხვის არგუმენტებზე კომენტარების გაკეთების უნარი- 2 ქულა;
4. პროფესიული, პერსონალური და სხვა გამოცდილების გამოყენების უნარი - 2 ქულა;
5. როგორ კრიტიკაზე, ასევე დადებით შენიშვნაზე რეაგირების უნარი -1 ქულა;
6. სხვისი მოსაზრების პატივისცემის უნარი - 1 ქულა;

4.9.წერითი აქტივობის შეფსების კრიტერიუმები (10 ქულა)

1. იდეების ნათლად ჩამოყალიბება- 2 ქულა.
2. სისტემურად და აზრობრივად დალაგებულობა 2 ქულა
3. თანმიმდევრულობა- 2 1ულა
4. კრეატიულობა- 2 1ულა
5. დასკვნების ჩამოყალიბების უნარი- 2 ქულა

4.10. I რეფერატის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა)

1. პრობლემის აქტუალობა - 2 ქულა;
2. საკითხის ირგვლივ არსებული კვლევების მიმოხილვა - 2 ქულა;
3. დასკვნის სისწორე და კავშირი ძირითად ტექსტთან - 2 ქულა;
4. წერის კულტურა - 2 ქულა;
5. წერილობითი მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 1 ქულა;
6. ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, სანდო წყაროები - 1 ქულა;

4.11. II რეფერატის მომზადება - წარდგენის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა)

1. აკადემიური მხარე - 1 ქულა;
2. პრობლემის აქტუალობა - 1 ქულა;
3. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის (მონაცემების) მიმოხილვა - 1ქულა;
4. კვლევის მეთოდის შესაბამისობა კვლევის მიზანთან - 1 ქულა;
5. არგუმენტაციის ლოგიკურობა - 1ქულა;
6. დასკვნის სისწორე და კავშირი ძირითად ტექსტთან - 1 ქულა;
7. მასალის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 1 ქულა;
8. კამათის და მოსმენის კულტურა- 1 ქულა;

9. ციტირებული ლიტერატურის მითითების სისწორე, სანდო წყაროები - 1 ქულა;
10. გამართული ენა და სტილი- 1 ქულა;

4.12. პროექტი- 18 ქულა

შეფასების კრიტერიუმები

1. თანამედროვე პრაქტიკასთან კავშირში მყოფი თანამედროვე ტენდენციების, თეორიების/კონცეფციების იდენტიფიცირება საკითხ-ში - 3 ქულა
2. საკითხზე სამედიცინო, ინდივიდუალური, ჯგუფური და სოციალური პროცესების გავლენების მოხდენის იდენტიფიცირება- 3 ქულა
3. პრობლემის-ის განმსაზღვრელი საკითხების და გარე ფაქტორების იდენტიფიცირება- 3 ქულა
4. საუკეთესო სამოქმედო კურსის აღწერა, მისი ფაქტორები და პარამეტრები- 3 ქულა
5. არგუმენტირებულობა და თანმიმდევრულობა- 3 ქულა
6. დავალების შესრულებისას გამოყენებული წყაროების რელევანტურობა, ვალიდურობა და სანდოობა - 3 ქულა

შეფასება: კარგი 3, დამაკმაყოფილებელი- 2, ცუდი-1, მიუღებელი-0

4.13. როლური თამაშის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

1. ვერბალური კომუნიკაციის უნარი - 4 ქულა;
2. არავერბალური კომუნიკაციის უნარი - 4 ქულა;
3. თეორიული ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრობლემის გადაწყვეტისას - 2 ქულა.

4.14. პოსტერის შეფასების კრიტერიუმები(10 ქულა):

1. უცნობ საკითხზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - 2 ქულა;
2. ჯგუფში მუშაობის უნარი - 2 ქულა;
3. დროის მართვის უნარი - 2 ქულა;
4. პოსტერის გაფორმების უნარი - 2 ქულა;
5. წარდგენის უნარი - 2 ქულა;

4.15. პრობლემაზე დაფუძნებული შემთხვევის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

1. პრობლემის გადაჭრის უნარი - 2 ქულა;
2. ჯგუფში მუშაობის უნარი - 2 ქულა;
3. გადაწყვეტილების მიღების უნარი - 2 ქულა;
4. ათვისებული თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარი - 2 ქულა;
5. დამატებითი წყაროების გამოყენების უნარი - 2 ქულა;

4.16. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

- მონაწილეობა და კომუნიკაციის უნარი - 2 ქულა
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობის უნარი- 2 ქულა
- დამოუკიდებელი სწავლის უნარი - 2 ქულა
- ცოდნის გამოყენების და ინფორმაციის შეგროვების უნარი-2 ქულა
- კლინიკური აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარი- 2 ქულა

2 ქულა	1 ქულა	0 ქულა
შესანიშნავი	საშუალო	სუსტი

4.17. I კლინიკური ქეისის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

1. ქეისში არსებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი- **2 ქულა;**
2. დამატებით წყაროებთან მუშაობის უნარი - 2 ქულა;
3. ათვისებული თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარი - 2 ქულა;
4. ნორმისა და პათოლოგიის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი - 2 ქულა;
5. დასკვნის გაკეთების უნარი - 2 ქულა;

4.18.II კლინიკური ქეისის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

1. ქეისში არსებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი- 2 ქულა;
2. დამატებით წყაროებთან მუშაობის უნარი - 2 ქულა;
3. წამალთა ძირითადი ჯგუფების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - 2 ქულა;
4. წამალთა ურთიერთმოქმედების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - 2 ქულა;
5. დასკვნის გაკეთების უნარი - 2 ქულა;

4.19.III კლინიკური ქეისის შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა):

1. ქეისში არსებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარი- 2 ქულა;
2. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად სქორი დაგეგმვის უნარი - 2 ქულა;
3. ლაბორატორიული კვლევის შედეგის სწორად ინტერპრატაციის უნარი - 2 ქულა;
4. პრობლემის გადაჭრის უნარი - 2 ქულა;
5. დასკვნის გაკეთების უნარი - 2 ქულა;

4.20. კლინიკურ ქეისზე დაფუძნებული დისკუსია- 10 ქულა

ქეისი განხილული იქნება ს ლექტორის წინაშე.

1. ახდენს პრობლების იდენტიფიცირებას/განსაზღვრას

რა საკითხებია წამოჭრილი ქეისში?

რა პათოლოგიური პროცესები მიმდინარეობს?

რა პრობლემების გადაჭრა არის მნიშვნელოვანი?

2. ახდენს ინფორმაციის ინტეგრაციას

რამდენად ფლობ შესაბამის ინფორმაციას?

შენს ხელთ არსებული მონაცემი/ინფორმაცია როგორ დაგეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში?

როგორ ახერხებ ქეისში არსებული მონაცემების/ინფორმაციის გამოყენებას?

დამატებით რა ინფორმაციის არსებობა იქნებოდა სასარგებლო?

3**. ახდენს დიაგნოსტიკის მეთოდების პრიორიტეტების მიხედვით დალაგებას**

ვარიანტები? როგორ მოახდა შერჩევა?

რატომ შეჩერდა არჩევანი კონკრეტულ მეთოდზე?

როგორია გადაწყვეტილების დადებითი და უარყოფითი მხარეები?

როგორ ხდება მათი დაბალანსება?

4. ასაბუთებს მკურნალობასთან დაკავშირებულ გადაწვეტილებას

რით საბუთდება გადაწვეტილება?

რა შედეგი აქვს გადაწყვეტილებას?

რა ინფორმაცია/მტკიცებულება არსებობს გადაწვეტილების გასამყარებლად?

რა მაგალითები არსებობს? რამდენად შეესაბამება აღნიშნულ ქეისს?

5. იზიარებს ექიმის მოვალეობებს

რა ეთიკური ნორმების გამოყენება არის საჭირო ამ კონკრეტულ ქეისთან დაკავშირებით? როგორ მოხდა მათი მისადაგება?

როგორ დაადგინდა პაციენტის შეხედულებები?

როგორია ექიმის ვალდებულებები/პასუხისმგებლობები? როგორ მოხდა მათი მისადაგება ქეისთან?

როგორ მოხდა მათი გათვალისწინების უზრუნველყოფა? რატომაა ისინი მნიშვნელოვანი?

თითოეული 5 კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი

2 ქულა- სრულ შესაბამისობაშია

1 ქულა- ნაწილობრივ შეესაბამება

0 ქულა- არ შეესაბამება

4.21. ქეისის ანალიზი (წერითი დავალება)- 4 ქულა

სტუდენტები ინდივიდუალურად წერილობით გაანალიზებენ/განიხილავენ ქეისებს სასწავლო მასალის შესაბამისად.

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

4 ქულა- შემოწმების/გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია სწორია, დიაგნოზი სწორადაა დასმული, გამყარებულია მტკიცებულებით, იცის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა, მკურნალობის კურსი სწორადაა დადგენლი;

3 ქულა- შემოწმების/გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია სწორია, დიაგნოზი სწორადაა დასმული, გამყარებულია მტკიცებულებით, იცის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა, მკურნალობის კურსი არ არის სწორად დადგენლი;

2 ქულა- შემოწმების/გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია სწორია, დიაგნოზი სწორადაა დასმული, გამყარებულია მტკიცებულებით, არ იცის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა, მკურნალობის კურსი არ არის სწორად დადგენლი;

1 ქულა- შემოწმების/გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია სწორია, დიაგნოზი არასწორადაა დასმული, მკურნალობის კურსი არ არის სწორად დადგენლი;

0 ქულა- შემოწმების/გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია არასწორია, დიაგნოზი არასწორადაა დასმული, მკურნალობის კურსი არ არის სწორად დადგენლი;

4.22. კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება - მაქსიმუმ 10 ქულა

1. მანიპულაციის შესრულების ზუსტი თანმიმდევრულობა -2ქულა
2. პაციენტის და საკუთარი უსაფრთხოების დაცვა -2ქულა
3. პაციენტთან კომუნიკაცია -2 ქულა
4. შეზღუდულ დროში სწრაფი ორიენტირების უნარი -2ქულა
5. პაციენტისაგან ინფორმაციული თანხმობის მიღებისა და პროცედურისათვის მომზადების უნარი -2 ქულა;

4.23. ავადმყოფობის ისტორიის ნიმუშის წარმოება შეფასება -მაქსიმალური 10 ქულა

1. 9-10 ქულა - ისტორია თანმიმდევრულად შევსებულია და მასში შემავალი ყველა კომპონენტი სწორი ტერმინოლოგიით დეტალურადაა აღწერილი. გამოკვლევის გეგმა –სრულია, დიაგნოზი სწორად ფორმულირებული და მკურნალობის სქემა ადექვატურია და მოიცავს პრეპარატების ნუსხას სწორი დასახელებითა და დოზირებით.
2. 7-8 ქულა - ყველა კომპონენტი თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი და სწორი ტერმინოლოგიით აღწერილი. გამოკვლევის გეგმა – სრულია, დიაგნოზი სწორად ფორმულირებული და მკურნალობის სქემა ადექვატური, პრეპარატები – სწორადაა გამოწერილი.
3. 5-6 ქულა – მოიცავს ისტორიის ყველა კომპონენტს, მაგრამ არათანმიმდევრულად და მცდარი ტერმინოლოგიით. გამოკვლევის გეგმა – არასრულია, დიაგნოზი შეესაბამება კლინიკურ მონაცემებს, მაგრამ არასრულია ფორმულირება. მკურნალობის სქემა ადექვატურია და მოიცავს პრეპარატების სრულ ნუსხას.
4. 3-4 ქულა – ისტორიის კომპონენტები არასრული და არათანმიმდევრულია, დიაგნოზი შეესაბამება სიმპტომოკომპლექსს, მაგრამ დაუსაბუთებელია., მკურნალობის სქემა – ადექვატურია, პრეპარატები არასრულადაა წარმოდგენილი.
5. 1-2 ქულა – ისტორია სქემატურადაა წარმოდგენილი.
6. 0- ქულა – დავალება არ არის შესრულებული.

4.24. მანიპულაციის ჩვენებების და გართულებების შეფასების უნარი /ან ისტორიის შედგენის და ინტერვიუს აღების უნარები- 1 ქულა

- აფასებს პროცედურების/მანიპულაციების ჩვენებებსა და უკუჩვენებებს- 1 ქულა

- აფასებს და პროგნოზს უკეთებს პროცედურების/მანიპულაციების გვერდით მოვლენებს, გართულებებს და შედეგებს- 1 ქულა
- ვერ ახდენს შეფასებას- 0 ქულა

4.25. ისტორიის შედგენისა და ინტერვიუს აღების უნარები

- წარმოაჩენს ისტორიის შედგენის და ინტერვიუს აღების უნარებს- 2 ქულა
- შეცდომებს უშვებს ინტერვიუს ჩატარების და ისტორიის შედგენის დროს- 1 ქულა
- ვერ ატარებს ინტერვიუს/ვერ ავსებს ისტორიას- 0 ქულა

4.26. მინი ქეისების ანალიზი. თოთოეული შეფასება 2 ქულიანია

შეფასების კრიტერიუმი

2 ქულა- ჩანს საგნის სიღრმისეული და კარგი ცოდნა. პრობლემა სათანადოდაა გაანალიზებული და მიზნები იდენტიფიცრებული. ჩანს შესაძლო ეფექტების გაანალიზების შესანიშნავი უნარი. სტუდენტი წარმოადგენს კარგად ჩამოყალიბებულ სტრატეგიას შესაფერისი ტაქტიკური სვლებით.

1 ქულა- პრობლემის გაანალიზებაში და მიზნების იდენტიფიცირებაში ფიქსირდება რამოდენიმე უზუსტობა. ჩანს შესაძლო ეფექტების გაანალიზების კარგი უნარი. სტრატეგია და შესაბამისი ტაქტიკური სვლები წარმოდგენილია უზუსტობებით.

0 ქულა- ქეისის განხილვისას სტუდენტი საერთოდ არ ერთვება ან ერთვება ძალიან მწირი დოზით.

4.27. Mini – CEX - მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო - 5 ქულა

Mini-CEX: დაკვირვების და შეფასების კრიტერიუმები სტუდენტისთვის	
კომუნიკაცია	წარადგენს საკუთარ თავს; პაციენტს უხსნის პროცედურას; პაციენტს აძლევს კითხვების დასმის საშუალებას; კეთილსინდისიერად პასუხობს შეკითხვებს; ცდილობას არ გამოიყენოს ტექნიკური ტერმინები; ხვდება პაციენტის მოლოდინებს; მოიპოვებს პაციენტის თანხმობას პროცედურის/აქტივობის გაგრძელების შესახებ; შესაბამისად პასუხობს პაციენტის ვერბალურ და არავერბალურ რეაქციებს;
სამედიცინო	უნარ-ჩვევები, რომელთა დემონსტრირება ხდება საქმიანობისას:

ისტორია/ კონსულტაცია/ კლინიკური გამოკვლევა	სტრუქტურირებული დისკუსია, ისმენს აქტიურად; ახდენს ღია და დახურული შეკითხვების ფორმულირებას, მიყავს პაციენტი სწორი მიმართულებით, განმარტებები და რჩევები შეესაბამება პაციენტს და სიტუაციას. უნარ-ჩვევები, რომელთა დემონსტრირება ხდება საქმიანობისას: გამოკვლევას უსაბამებს კლინიკურ პრობლემას და პაციენტის მდგომარეობას; განუმარტავს პაციენტს თუ რას აკეთებს; კლინიკური გამოკვლევას აქვს ეფექტური და ლოგიკური თანმიმდევრობა.
კლინიკური აზროვნება/განსჯა	აქვს კარგი კლინიკური განსჯის უნარი, შეუძლია ინფორმაციის სინთეზი; შეუძლია შესაბამისი დიფერენციული დიაგნოზის გატარება/ფორმულირება და შესაბამისი დიაგნოსტიკური და თერაპიული ზომების დაგეგმვა, რისკის/სარგებლის და სამედიცინო გადაუდებლობის გათვალისწინებით.
ორგანიზებულობა/ ეფექტურობა	სახავს პრიორიტეტებს; არის ლაკონური; მუშაობს სტრუქტურირებულად; იყენებს ხელმისაწვდომ რესურსებს შესაბამისად და ეფექტურად;
პროფესიონალური ქცევა	გამოხატავს ემპათიას და პატივისცემას; პასუხობს პაციენტის საჭიროებებს და განცდებს; იცის ნორმატიული ჩარჩო; აცნობიერებს საკუთარი შესაძლებლობების ლიმიტებს; ქმნის შესაბამის დოკუმენტაციას; მხედველობაში იღებს მედიცინის ეთიკურ ნორმებს.

მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოს (Mini – CEX) - ფორმა

სტუდენტი:	
ლექტორი:	

კომპეტენციები, რომლებიც ფასდება	**სუსტი (0 ქულა)**	**საშუალო (0.5 ქულა)**	**კომპეტენტური (1 ქულა)**

სამედიცინო ისტორია/ კონსულტაცია/ კლინიკური გამოკვლევა	☐	☐	☐
კომუნიკაცია	☐	☐	☐
კლინიკური აზროვნება	☐	☐	☐
ორგანიზებულობა	☐	☐	☐
პროფესიონალური ქცევა	☐	☐	☐
საბოლოო შეფასება:			

დავალების სირთულე:	☐ დაბალი	☐ საშუალო	☐ მაღალი

საჭირო დრო:	დაკვირვება _____ წთ.	უკუკავშირი: ___წთ

უკუკავშირი

რა იყო კარგი?
რა შეიძლება გაუმჯობესდეს და როგორ?

4.28. მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (Mini-CEXs) 7 ქულა

სავარჯიშო შესრულდება კლინიკურ გარემოში (სიმულაცია ან პაციენტთან მუშაობა) სტუდენტის პაციენტთან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს დროს. თოთეული სავარჯიშო შეფასდება 7 კრიტერიუმით. თითეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება 1 ქულაა.

- კარგი- 1 ქულა
- დამაკმაყოფილებელი- 0.5 ქულა
- არადამაკმაყოფილებელი- 0 ქულა

1. სამედიცინო ინტერვიუს აღების უნარები

- ხელს უწყობს პაციენტს ისაუბროს თავისი სამედიცინო ისტორიის შესახებ;

- ადგენს შესაფერის კითხვებს ინფორმაციის მოსაპოვებლად

- ადეკვატურად პასუხობს ემოციებს და არავერბალურ სიგნალებს.

2**. ფიზიკური დათვალიერების უნარები**

- ეფექტურად ინარჩუნებს ლოგიკურ თანმიმდევრობას
- იცავს ბალანსს ზოგად და ჰიპოთეტურ კველევას შორის
- ინფორმაციას აწვდის პაციენტს
- იჩენს ყურადღებას და თავშეკავებულობას პაციენტის კომფორტის მიმართ

3. პროფესიული უნარები

- ამჟღავნებს პატივისცემას, თავდადებას, ემპათიას და იწვევს ნდობას
- ადეკვატური რეაქცია აქვს დოსკომფორტის და უხერხულობის გრძნობის მიმართ
- ადეკვატურად ეკიდება კონფიდენციალურობას და ინფორმაციის მოთხოვნას

4. პრობლემების ანალიზი, კლინიკური აზროვნება

-შესაფერისად და სელექციურად იყენებს სადიაგნოსტიკო პროცედურებს
- ადეკვატურად აფასებს რისკებს და სარგებელს

5. განგრძობითობა და მითითებები

- დასაბუთებულებად ჩამოყალიბებული აქვს სამომავლო გამოკვლევების და მკურნალობის მიმართულებები
- ადგენს მიმართულების მიცემის ადეკვატურ საჭიროებას, შესაძლოა სხვა პროფესიონალებისგან იღებს ინფორმაციას

6. პაციენტთან კომუნიკაცია

- მისთვის გასაგები ტერმინებით უხსნის პაციენტს გამოკვლევებისა და მკურნალობის მიმართულებებს და ჩვენებებს
- განიხილავს პოლიტიკას
- იძლევა ინფორმაციას პაციენტის უფლებების კანონის შესაბამისად

7. ორგანიზებულობა/ეფექტურობა

- ადეკვატურად ახდენს ორგანიზებას, ავლენს დროის ოპტიმალური გამოყენების უნარს
- ლაკონურია

- სათანადოდ აწარმოებს საბუთებს და უკუკავშირის გადამისამართებული ექიმისთვის შეგროვებას

4.29. პროცედურული უნარები პირდაპირი დაკვირვების ქვეშ (DOPS)

სტუდენტი შეასრულებს პრაქტიკულ დავალებებს

როგორიცაა სხვადასხვა მანიპულაციური ტექნიკები (მაგალითად კათეტერიზაცია)

- თუკი შეფასების კრიტერიუმით დადგენილი მოთხოვნები ვერ შესრულდება (არასწორი შესრულება) სტუდენტი ფასდება 0 ქულით

4.30. პროცედურული უნარები პირდაპირი დაკვირვების ქვეშ (DOPS) -5 ქულა

სტუდენტი შეასრულებს შემდეგ პრაქტიკულ დავალებებს კლინიკური როტაციის დროს:

- ანემნეზის შეგროვება, ფიზიკური დათვალიერება და მონაცემთა რეგისტრაცია- 2 ქულა
- ინსტრუმენტული დათვალიერების იდენტიფიცირება და წაკითხვა- 1 ქულა
- ლაბორატორიული კვლევების წაკითხვა და იდენტიფიცირება- 1 ქულა
- დიაგნოზის/დიფერენციალური დიაგნოზის დასმა და მკურნალობის გეგმა- 1 ქულა

4.31. DOPS - პროცედურული უნარები პირდაპირი დაკვირვების ქვეშ 5 ქულა

DOPS: შეფასების და დაკვირვების კრიტერიუმი სტუდენტისთვის	
მომზადება/შემდეგი ზრუნვა/ უსაფრთხოება	პაციენტს უხსნის ინტერვენციულ პროცედურებს და მასთან დაკავშირებულ რისკებს და მოიპოვებს პაციენტის თანხმობას; აქვს საჭირო მასალები მზად და ამოწმებს მათ; პაციენტს და დამხმარე პერსონალს აძლევს ინსტრუქციებს; ოპტიმალურად განათავსებს პაციენტს; პაციენტს უხსნის პოსტინტერევენციულ ზომებს და ამოწმებს მას; პაციენტს განუმარტავს პროცედურებს შესაძლო გართულებებს; სწორად ირჩევს და იყენებს სადეზინფექციო საშუალებას; მუშაობს სტერილურ პირობებში; საფრთხის ქვეშ არ აგდებს არც საკუთარ თავს და არც სხვას;
ტექნიკური ექსპერტიზა	პროცედურას ასრულებს ტექნიკურად სწორად; პროცედურას ასრულებს უნარიანად და ზუსტად; არ აყენებს ტრამვას

	პაციენტს; აღწევს დამაკმაყოფილებელ შედეგს; ახდენს საჭირო მასალის სწორ მოცილებას;

DOPS

პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვებითი შემოწმება

სტუდენტი:	
ლექტორი:	

კომპეტენციები, რომლების ფასდება	ცუდი (0 ქულა)	საშუალო (0.5 ქულა)	კომპეტენტური (1 ქულა)
მომზადება/შემდეგი ზრუნვა/ უსაფრთხოება	☐	☐	☐
ტექნიკური ექსპერტიზა	☐	☐	☐
კლინიკური აზროვნება/განსჯა	☐	☐	☐
ორგანიზებულობა / ეფექტურობა	☐	☐	☐
პროფესიონალური ქცევა	☐	☐	☐
საბოლოო შეფასება:			

დავალების სირთულე:	☐ დაბალი	☐ საშუალო	☐ მაღალი

საჭირო დრო: დაკვირვება. _____წთ უკუკავშირი _____წთ

უკუკავშირი

რა იყო კარგი?
რა შეიძლება, რომ გაუმჯობესდეს და როგორ?

4.32. გამოკვლების შედეგების ინტეპრეტაცია

გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაციის შეფასება ტარდება ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური გამოკვლევების შედეგების ანალიზითა და ინტერპრეტაციით- 2 ქულა

შეფასების კრიტერიუმები:

- 1 ქულა: სტუდენტს შეუძლია წაიკითხოს და გაანალიზოს გამოკვლევების შედეგები
- 1 ქულა: სტუდენტს შეუძლია შეიმუშავოს სწორი გამოკითხვის სტრატეგია გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობით
- თუკი შეფასების კრიტერიუმით დადგენილი მოთხოვნები ვერ შესრულდება სტუდენტი ფასდება 0 ქულით

4.33. მინი კლინიკურ ქეისზე დაფუძნებული დისკუსია

შეფასების კომპეტენცია და კრიტერიუმები

- **პრობლემის იდენტიფიკაცია**

ახდენს პრობლების/ების სათანადოდ იდენტიფიცირებას და ახდენს მის ნათლად ფორმულირებას;

- **ინფორმაციის გამოყენება და ინფორმაციის შეგროვება**

ავლენს პრობლემის სიღრმისეულ ცოდნას, ავლენს დოკუმენტირებული წყაროების ნაკითხობას, მიღებულ ცოდნას იყენებს პრობლემის გადაჭრის დროს

- **კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება**

ახდენს ქეისში მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაციას, საჭირო დონეზე იაზრებს არგუმენტებსა და ფაქტებს, ავლენს ჰოპეთეზის გენერირების უნარს, შეუძლია პრობლების გადასაწყვეტად მიიღოს სწორი გადაწვეტილება (ეტიოლოგია/დიაგნოზი/მენეჯმენტი ა.შ.).

- **დასკვნა/სწორი დიაგნოსტიკა**

დასკვნა/დიაგნოზი ეფუძნება სათანადო მტკიცებულებებს და ნათლადაა ჩამოყალიბებული

4.34. ინტეგრირებული თეორიული საკითხები- 6 ქულა

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

- ადგენს კონკრეტულ პათოლოგიას სინდრომისა და/ან სიმპტომების მიხედვით- 1 ქულა
- ადგენს სიმპტომების და სინდრომის გამოკვლევების რელევანტურ მეთოდებს და/ან კითხულობს და ანალიზს უკეთებს ინსტრუმენტალური და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს- 1 ქულა
- პათოლოგიური პროცესების აღწერა და პათოლოგიური პროცესების განვითარების/ეტაპების აღწერა- 1 ქულა
- პათოლოგიური პროცესების ეტიოლოგიისა და შედეგების დადგენა- 1 ქულა
- კონკრეტულ სისტემაზე დაყრდნობით წამლების შერჩევა- 1 ქულა
- ფარმაკოკინეტიკის, ფარმაკოდინამიკის და მათი გვერდითი მოვლენების დადგენა- 1 ქულა

თუკი შეფასების კრიტერიუმით დადგენილი მოთხოვნები ვერ შესრულდება (არასწორი იდენტიფიცირება/აღწერა) სტუდენტი ფასდება 0 ქულით

4.35. დისკუსია (ჯგუფური/წყვილში)

სტუდენტები ნაწილდებიან ჯგუფებში ან წყვილში (მასწავლებლის გადაწყვეტილებით) და ახდენენ თავიანთი იდეების გაზიარებას თემის ირგვლივ. ჯგუფური სამუშაო საშულებას აძლევს მასწავლებელს მონიტორინგი გაუწიოს პროცესს და მოახდინოს ბეჯითი და დისკუსიებში აქტიურად ჩართული სტუდენტების იდენტიფიცირება, რომლებსაც ნათლად ჩამოყალიბებული იდეები აქვთ საკითხის ირგვლივ და შეუძლიათ სწორად, სერიოზული შეცდომების გარეშე ჩამოაყილობონ თავიანთი იდეები. ჯგუფური სამუშაო ასევე მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას განსაჯოს სტუდენტის ჯგუფში სათანადოდ თანამშრომლობის უნარი, სხვისი იდეების პატივისცემის და ჯგუფის სხვა წევრების იდეების მოთმინებით მოსმენის უნარი. გარდა ამისა, მონიტორინგი ეფექტური საშუალებაა ერთის მხრივ აღმოჩენილი იქნეს გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები და მეორეს მხრივ დადგინდეს პრობლემები სტუდენტებში, რომელიც რელევანტური უკუკავშირის მოწოდების დაბრკოლებას ქნის ახალ მასალასთან მიმართებაში.

4.36. დემონსტრაცია/როლური თამაში

მიზნად ისახავს სტუდენტის თეორიის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. სხვა სიტყვებით, მათ მოუწევთ მიღებული ცოდნის გამოყენება რეალურ ცხოვრებისეულ

სიტუაციაში (მაგალითად დიალოგებში), რომელიც გამოამჟღავნებს საკუთარი თავის ეფექტურად და რელევანტურად გამოხატვის უნარს კონკრეტულ სიტუაციებში. როლური თამაშები სტუდენტებზე დაკვირვების, მათი ეფექტურობის და უნარ-ჩვევების შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია.

4.37. ჯგუფური/წყვილში პრეზენტაცია

სტუდენტები ერთიანდებიან ჯგუფებში ან წყვილში მათ მიერ შესწავლილ თემაზე პრეზენტაციის მოსამზადებლად. ეს ერთ-ერთი ეფექტური დავალებაა სტუდენტების მიერ შესწავლილი მასალის შეჯამების უნარის შესამოწმებლად, მათი კრეატიულობის და დამოუკიდებლობის გამოსავლენად პრეზენტაციის გეგმის მომზადების, მის დამუშავების და კლასის წინაშე წარდგენის პროცესში. სხვა ჯგუფები კომენტარს უკეთებენ და აფასებენ პრეზენტაციას მასწავლებლის მიერ დადგენილი კრიტერიუმის შესაბამისად.

4.38. ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები (5 ქულა):

5 ქულა - პასუხი სრულია, ნათლად ჩანს სტუდენტის აზროვნების უნარი. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

4 ქულა - პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ ნაკლებად იგრძნობა დამოუკიდებელი აზროვნება; ტერმინოლოგია გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

3 ქულა - პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, მაგრამ უფრო გაზეპირებულია ვიდრე გააზრებული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

2 ქულა - პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტი.

0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

4.39. ინტეგრირებული ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები (8 ქულა):

ინტეგრირებული ზეპირი გამოცდის დროს შეფასება მოხდება შემდეგი სასწავლო კურსების საკითხებში: ანატომია, რად, ანატომია, ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, ციტოლოგია, ზოგადი ბიოლოგია, მიკრობიოლოგია. აქვს საკითხის კომპლექსური გააზრების უნარი მოლეკულურიდან ორგანულ დონემდე.

8-7 ქულა - საკითხი იცის სრულად, ნათლად ჩანს სტუდენტის აზროვნების უნარი, ზუსტად ფლობს ტერმინოლოგიას, ამომწურავად პასუხობს საკითხის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს;

6-5 ქულა - საკითხი არ იცის სრულყოფილად, მაგრამ გადმოსცემს ძირითად შინაარსს; სტუდენტს აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; კითხვების უმრავლესობას პასუხს სცემს; არსებითი შეცდომებს არ უშვებს.

4-3 ქულა - საკითხი იცის ნაწილობრივ, მაგრამ უფრო დაზეპირებულია, ვიდრე გააზრებული; ტერმინოლოგიაში უშვებს შეცდომებს; კითხვებს პასუხობს არასრულყოფილად.

2 ქულა - საკითხის ირგვლივ აქვს ზოგადი წარმოდგენა; არ სჩანს ნათლად სტუდენტის აზროვნების უნარი; ტერმინოლოგიაში უშვებს ბევრ შეცდომას; კითხვებს პასუხობს ზედაპირულად.

1 ქულა - საკითხის ირგვლივ აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა; საკითხთან დაკავშირებით არ სჩანს სტუდენტის აზროვნების უნარი; ვერ ფლობს ტერმინოლოგიას; პასუხობს მხოლოდ ცალკეულ შეკითხვას;

0 ქულა - საკითხი საერთოდ არ იცის; ვერ პასუხობს შეკითხვებს;

4.40. ობიექტურად სტრუქტურიზებული კლინიკური გამოცდა (OSCE) - 40 ქულა

ობიექტურად სტრუქტურიზებული კლინიკური გამოცდა ინტეგრირებული შეფასების მეთოდია, რომელიც აფასებს სტუდენტის კლინიკური უნარების კლინიკურ სიტუაციაში გამოხატვის შესაძლებლობას საგამოცდო გარემოში.

ობიექტურად სტრუქტურიზებული კლინიკური გამოცდა მოიცავს 10 აქტიურ პუნქტს. თითოეული პუნქტი წარმოადგენს ერთ პროცედურას და ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით (ჯამში 4x10=30 ქულა). სტუდენტი წინასწარ დადგენილ პერიოდში (თუკი პროცესი

იწერება, მას გამომცდელი არ ესწრება) (5/7 წუთი) ასრულებს დავალებას და გადადის შემდეგ ეტაპზე.

თითოეული პუნქტის შეფასების კომპონენტებია:

- პაციენტთან კომუნიკაცია (მაქსიმუმ 1 ქულა)
- პროცედურის თანმიმდევრობა (მაქსიმუმ 1 ქულა)
- პროცედურის ხარისხი (მაქსიმუმ 1 ქულა)
- დრო (მაქსიმუმ 1 ქულა)

4.41. ობიექტურად სტრუქტურიზებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) - 10 ქულა

ობიექტურად სტრუქტურიზებული პრაქტიკული გამოცდა შეფასების მეთოდია, რომელიც აფასებს სტუდენტის პრატიკულ ლაბორატორიულ უნარებს ბიოსამედიცინო საგნებში.

ობიექტურად სტრუქტურიზებული პრატიკული გამოცდა მოიცავს 2 პუნქტს. თითოეული პუნქტი წარმოადგენს ერთ პროცედურას და ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით (ჯამში 5x2=10 ქულა). სტუდენტი წინასწარ დადგენილ პერიოდში (თუკი პროცესი იწერება, მას გამომცდელი არ ესწრება) (5/7 წუთი) ასრულებს დავალებას და გადადის შემდეგ ეტაპზე.

თითოეული პუნქტის შეფასების კომპონენტებია:

- პროცედურის თანმიმდევრობა (მაქსიმუმ 1 ქულა)
- პროცედურის ხარისხი (მაქსიმუმ 1 ქულა)
- ინსტრუმენტების და ტექნიკის გამოყენების უნარი (მაქსიმუმ 1 ქულა)
- შედეგის ინტერპრეტაცია (მაქსიმუმ 2 ქულა)

4.42. როლური თამაშების შეფასების კრიტერიუმები (5 ქულა):

1. ვერბალური კომუნიკაციის უნარი - 1 ქულა;
2. არავერბალური კომუნიკაციის უნარი - 1 ქულა;
3. თანაგრძნობისა და პატივისცემის გამოხატვის უნარი - 1 ქულა;
4. ეთიკის გამოყენების ასპექტები - 1 ქულა;
5. თეორიული ცოდნის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად - 1 ქულა.

4.43. სწავლება პაციენტის საწოლთან (5 ქულა):

1. სტუდენტი იღებს და წარუდგენს ისტორიას - 1 ქულა
2. ასრულებს შემოწმებას- 1 ქულა
3. მსჯელობს შემდგომი შეფასების შესახებ - 1 ქულა
4. მსჯელობს საქმის მენეჯმენტზე - 1 ქულა
5. განიხილავს დაავადების დაკავშირებულ ასპექტებს - 1 ქულა

4.44. სწავლება პაციენტის საწოლთან (5 ქულა):

შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში - WPBA (Work Place Based Assessment) გამოიყენება კლინიკური სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე (მე-6 წელს) ჩვეულებრივ, შეფასების ეს მეთოდოლოგია გამოიყენება ფორმაციული შეფასებისას. WPBA წარმოადგენს შეფასების რამდენიმე მეთოდის ერთობლიობას;

360 გრადუსიანი- მრავალმხრივი შეფასება (MSF) Multi-source feedback)-გამოიყენება WPBA ფარგლებში და პროგრამაში პორტფოლიოს ნაწილს წარმოადგენს, როცა სტუდენტი ფასდება ყველამხრივ და კლინიკურ პრაქტიკაში ჩართული ყველა პირის მიერ.

მუხლი 5. დასკვნით გამოცდის გადავადება, ჩაჭრა, გასაჩივრება

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის ჩაჭრის საფუძველია:

ა)სასწავლო კურსის/მოდულის საკონტაქტო საათების 5%-ზე მეტის გაცდენა;

ბ) ბლოკის დასკვნითი გამოცდის ბარიერის გადაულახავობა;

გ)თითოეული სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდის შესაბამისი ბარიერის გადაულახავობა;

დ)გამოცდის ჩატარების წესის უხეში დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს გამოცდიდან მოხსნას, ან ნაშრომის გაუქმებას, რაც გაწერილია გამოცდის ჩატარების წესში;

დასკვნითი გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების (საპატიო მიზეზის მითითებით და დასაბუთებით) ან ავადმყოფობის შესახებ ცნობის წარმოდგენის საფუძველზე. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანი.

დასკვნით გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა საგნის გადაბარების შესაძლებლობა დამატებითი გამოცდით.

გამოცდაზე მიღებული შედეგების გასაჩივრების პროცედურა გაწერილია გამოცდების ჩატარების წესში.

მუხლი 6. სასწავლო წლის რეგლამენტი

1 აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.

2. აკადემიური წელი შედგება შემოდგომის, გაზაფხულის და საჭიროების შემთხვევაში ზაფხულის სემესტრებისგან.

3. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდების ჩატარებისა და გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

4. სასწავლო კვირა არის დროის 6 დღიანი პერიოდი, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კალენდარულ კვირაში.

5. სასწავლო კვირაში საკონტაქტო (საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობის) და დამოუკიდებელი (საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის) საათების ჯამური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 50 ასტრონომიულ საათს.

6. სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვა იანგარიშება ECTS კრედიტებში. 1 ECTS კრედიტი უდრის სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი მუშაობის) 30 ასტრონომიულ საათს.

7. უნივერსიტეტის აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს, რომლებიც ნაწილდება გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებზე.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. მაგრამ, არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა, მედიცინის პროგრამასთან მიმართებაში არაუმეტეს დამატებითი 15 კრედიტისა სწავლების მთელი 6 წლის განმავლობაში, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში არაუმეტეს დამატებითი 15 კრედიტისა ყოველ სასწავლო წელს.

9. შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში სააუდიტორიო მუშაობას I-V კურსების ჩათვლით ეთმობა 17-16 კვირა, ხოლო მეექვსე კურსზე სემესტრი 12 თვიანია. გარდა ამისა, თითოეულ სემესტრში 4-4 კვირა გათვალისწინებულია სასესიო პერიოდისთვის - 3 კვირა ძირითადი, 1 კვირა კი - განმეორებითი გამოცდებისთვის.

10. სასწავლო წლის დაწყების, დასრულების ასევე დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის განკუთვნილი ვადები რეგულირდება ყოველი წლის დაწყებამდე

რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური კალენდრით.

11. საჭიროების შემთხვევაში სკოლის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სა-აუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

მუხლი 7. დამატებითი სემესტრი

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა შესაბამისი კრედიტები და ვერ მოიპოვა აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა დამატებით სემესტრებში.

დამატებით სემესტრში დაშვებულია არაუმეტეს 10-15 კრედიტის ათვისება, იმ პირობით, რომ ზაფხულის სემესტრის ჩათვლით სტუდენტის აკადემიური დატვირთვის საერთო წლიური მოცულობა არ იქნება 75 კრედიტზე მეტი.

დამატებითი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას - 5 კვირა სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის, 1 კვირა შუალედური გამოცდებისთვის, 1 კვირა დასკვნითი და 1 კვირა - დამატებითი გამოცდებისთვის.

თითოეული სასწავლო კურსისთვის ზაფხულის სემესტრში გათვალისწინებულია გაორმაგებული საკონტაქტო მუშაობა სასწავლო კვირაში. სტუდენტის სრული დატვირთვა სასწავლო კვირაში არ უნდა არემატებოდეს 50 საათს.

ზაფხულის სემესტრის დაწყების, დასრულების, ასევე დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის განკუთვნილი ვადები რეგულირდება ყოველი სემესტრის დაწყებამდე რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცებული აკადემიური კალენდრით.

მუხლი 8. კრედიტის ხელახლა ათვისება

სტუდენტს, რომელმაც სასწავლო კურსი/მოდული ვერ აითვისა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში და ვერ დააგროვა შესაბამისი კრედიტები უფლება აქვს ძირითად სასწავლო კურსებთან ერთად დამატებით დაარეგისტრიროს და აითვისოს 15 კრედიტი, მაგრამ არა უმეტეს 15 კრედიტისა მთელი სწავლების ვადის განმავლობაში მედიცინის პროგრამაზე და არა უმეტეს 15 კრედიტისა ყოველწლიურად სტომატოლოგიის პროგრამაზე.

მუხლი 9. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

1. სტუდენტს, რომელმაც აითვისა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები დეკანის წარდგინებით, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და უწყდება სტუდენტის სტატუსი;

2. აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომლის ფორმა შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და ასევე ფინანსთა სამინისტროებთან. დიპლომთან ერთად გაიცემა შესაბამისი დიპლომის დანართი;

3. კურსდამთავრებულს, რომელსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითადი სასწავლო კურსების GPA აქვს 3,5 და მეტი გადაეცემა დიპლომი „წარჩინებით“.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება/შეცვლა

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული სტუდენტებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სრული განათლების მიცემა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება.

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ალტერნატიულ პროგრამას (არსებობის შემთხვევაში) გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით, უნივერსიტეტში მოქმედი „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად;

3.უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას შეცვლილ/გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი პროგრამის არარსებობის შემთხვევაში სხვა დაწესებულებასთან გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებით შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 11 . საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება სკოლისს დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.

2. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას და ხელმძღვანელს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.

3. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი.

4. საბაკალავრო ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, ECTS–ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი როგორც კომისიის წევრებისათვის, ისე სტუდენტებისთვისაც.

5. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

6. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მუხლი 12 . სამცნიერო -კვლევითი და რეფერატული პროექტი

1. მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამის დასრულებამდე ბოლო სასწავლო წელს სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამეცნიერო-კვლევითი ან რეფერატული ნაშრომი. ნაშრომის თემატიკის შერჩევა ხდება წლის დასაწყისში და ნაშრომის სათაურები და ხელმძღვანელები მტკიცდება სკოლის საბჭოზე;

2. სამეცნიერო კვლევითი ტიპის ნაშრომის შესრულების უფლება სტუდენტმა უნდა მოიპოვოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსში გამარჯვების გზით. კონკურსი ცხადდება აკადემიური წლის დაწყებიდან 1 თვეში. სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო პროექტის მონახაზის ბეჭდური ვერსია არაუმეტეს 10-15 გვერდისა. პროექტის წარდგენა შეუძლია სტუდენტთა ჯგუფს.

პროექტის პირობები და შერჩევის კრიტერიუმები იტვირთება ვებ-გვერდზე რექტორის ბრძანების სახით კონკურსამდე 1 თვით ადრე;

3. გამარჯვებულ სტუდენტებს ენიშნებათ ხელმძღვანელები და პროექტისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში ასრულებენ კვლევით ნაშრომს;

4. ის სტუდენტი, ვინც ვერ მოიპოვებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების უფლებას, ვალდებულია შეასრულოს რეფერატული ნაშრომი;

5. სამეცნიერო-კვლევით პროექტის გაფორმებისა და დაცვის პროცედურა გაწერილია „სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების წესში“.

მუხლი 13. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემუშავების წესი

1. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამად მიიჩნევა სტუდენტის სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით, მისი საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისთვის პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზების ფორმის ან პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსის შეცვლა იმგვარად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტის იგივე სწავლის შედეგებზე გაყვანის შესაძლებლობა, პროგრამაში სტანდარტულად წარმოდგენილი სასწავლო კურსის/ენის/სასწავლო დროის არჩევითობის გარდა.

2 ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება შეთავაზებული იქნეს

ა) მოტორული, მხედველობითი ან აუდიალური შეზღუდვების მქონე სტუდენტებისთვის, რომლებისთვის შეუძლებელია პროგრამით დადგენილი ფორმით სალექციო/პრაქტიკული/საგამოცდო პროცესებში მონაწილეობა.

ბ) ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩაერთონ პროგრამით გათვალისწინებულ საკონტაქტო აქტივობებში.

გ) მსჯავრდებული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩაერთონ პროგრამით გათვალისწინებულ საკონტაქტო აქტივობებში,

დ) სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ყოფნის, ან სხვა სოციალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ აკადემიური კალენდარით გათვალისიწნებულ ვადებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობას.

3. სტუდენტი, ჩარიცხვის ან სწავლის პერიოდში უფლებამოსილია, პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართოს უნივერსიტეტს ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების მოთხოვნით.

4. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტი ქმნის კომისიას პროგრამის განმახორციელებელი პროფესურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შესაბამისი დეკანატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისია უფლებამოსილია ჩართოს მუშაობაში შესაბამისი ჯანდაცვის, სოციალური თუ სხვა სამსახურების წარმომადგენლები, რომელთა სპეციალური ცოდნა მნიშვნელოვანია სტუდენტის საჭიროებათა სრულად გათვალისწინებისთვის, ასევე შეისწავლოს და გამოითხოვოს გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია.

5. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა, კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცვდეს, მაგრამ არ ამოიწურებოდეს, საგანმანათლებლო პროცესის შემდეგი მოდიფიცირებებით:

ა) მოტორული დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - სასემინარო და საგამოცდო დავალებათა ზეპირ ფორმატში გადაყვანა, ლექტორის მონაწილეობით;

ბ) მხედველობითი დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - ვიზუალური მასალის აუდირებაში დახმარებას, ლექტორისა თუ ბიბლიოთეკის თანამშრომლის მონაწილეობით, ასევე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოდიფიცირება;

გ) აუდიალური დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - სალექციო მასალის ვიზუალური ფორმატით გადაცემისა და სასემინარო-საგამოცდო მასალის აუდიალურ ფორმატში გადმოცემის უზრუნველყოფას, რიდერების, ლექტორის კონსპექტებისა და სხვა თვალსაჩინოების გამოყენებით.

დ) სტუდენტებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ ჩაერთონ საკონტაქტო პროცესში - სალექციო მეცადინეობის ელექტრონული ვიდეოკავშირის ფორმით მიღების, ხოლო საგამოცდო პროცესის - დისტანციურად, შესაბამისი მეთვალყურეობით, ჩატარების უზრუნველყოფით.

6. სტუდენტებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ განახორციელონ პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები აკადემიური კალენდარით გათვალისწინებულ ვადებში, დასაშვებია საგამოცდო და სასემინარო პროცესის უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადაზე გვიან ჩაბარება - მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუძლეველი ძალის მიზეზით ვერ მოახერხეს ამ პროცესში ჩართვა აკადემიური კალენდარით დადგენილ პერიოდში.

7. კომისიის დასკვნაში ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ უნდა განისაზღვროს მის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები/მოქმედებები.

დანართი 1

სასწავლო გეგმა

ცვლილებები
დამტკიცებულია აკად.
საბჭოს მიერ,
დადგენილება N=

შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"

საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა"

სასწავლო გეგმა (2020-2026)

N	სასწავლო კურსი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	საათები										კრედიტების განაწილება სემესტრის მიხედვით											
				მათ შორის										I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	V სემ.	VI სემ.	VII სემ.	VIII სემ.	IX სემ.	X სემ.	XI სემ	XII სემ.
				საათების რაოდენობა	ლექციები	სემინარი	სწავლება სიმულაციურ	სწავლება კლინიკურ	ლაბორატორიული	პრაქტიკული	ბლოკის გამოცდა/ მუალედური გამოცდა	საბოლოო გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა												
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
1																									

2																									
3																									
4																									
5																									
6																									
7																									
	ჯამი		**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**			
	არჩევითი სასწავლო კურსები		**26**													**6**	**6**	**2**	**2**	**3**	**3**	**2**	**2**		
1																									
2																									
3																									
4																									
5																									
6																									
7																									
8																									
9																									
	არჩევითი სასწავლო კურსების ჯამი		**26**	**#REF!**	**####**	**###**		**#REF!**	**###**		**#REF!**	**##**	**##**												
	კრედიტების/საათების ჯამი		**26**	**780**	**390**							**##**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**

მედიცინის სკოლის დეკანი

დანართი 2

სასწავლო გეგმა წინაპირობებით

შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
"დიპლომირებული მედიკოსი"
სასწავლო გეგმა (2015-2021 წწ)

დამტკიცებულია აკად. საბჭოს მიერ, დადგ.

I წელი

კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**სავალდებულო**	**I სემესტრი**	**II სემესტრი**	**ECTS**	**წინაპირობა**
ჯამური ECTS კრედიტი (სავალდებულო კურსები)			**30**	**30**	**60**	
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**არჩევითი**	**I**	**II**	**ECTS**	
ჯამური ECTS კრედიტები (არჩევითი კურსები)			**0**	**0**	**0**	
1-ლი წლის ჯამური ECTS					**60**	

დანართი 3

სწავლის შედეგების რუკა

	Course Code/კურსის კოდი																									
	Learning Outcomes & Competencies სწავლის შედეგები და კომპეტენციები																									
1																										
2																										
3																										
4																										
5																										
6																										
7																										
8																										
9																										
10																										
11																										
12																										
13																										

დანართი 4

BAU International University Batumi

სილაბუსის ნიმუში

კოდი და სასწავლოკურსის დასახელება

კურსის დასახელება	კოდი	სემესტრი	კურსის ტიპი	კურსის სტრუქტურა და მოცულობა(სთ)			ECTS
				ლექცია			
				სწავლება კლინიკურ გარემოში (სკგ)			
				სწავლება სიმულაციურ გარემოში (სსგ)			
				სემინარი			
				შუალედური გამოცდა/ბლოკის გამოცდა			
				დასკვნითი გამოცდა			
				დამოუკიდებელი მუშაობა			

სკოლა, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის დონე	მიეთითება სკოლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სწავლის საფეხური
პერსონალი	ინფორმაცია კურსის სწავლებაში ჩართულ პირთა შესახებ - სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, მოწვეული პედაგოგი, საკონტაქტო ინფორმაცია, კონსულტაციის დღეები და საათები
ხანგრძლივობა	ხანგრძლივობა კვირების ან დღეების მითითებით
წინაპირობა	მიეთითება კონკრეტული სასწავლო კურს(ებ)ი, რომლის ათვისებაც სავალდებულოა მოცემული სასწავლო კურსის შესასწავლად, ან მიეწეროს - "წინაპირობა არა აქვს" (პრერეკვიზიტული საგანი სასურველია განისაზღვროს ზუსტად, აუცილებლობიდან გამომდინარე და არ იყოს ძალიან ბევრი)
მიზანი	აღიწეროს მოკლედ და მკაფიოდ

სწავლა/სწავლების მეთოდები	ჩამონათვალი მეთოდების რომელიც გამოიყენება კონკრეტულ კურსში
შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები	უნდა აღიწეროს შეფასების სისტემა, კონკრეტული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, გამოცდებზე დაშვების წინაპირობები და ზღურბლები.
ძირითადი ლიტერატურა	მიეთითება ყველა ის ძირითადი ბეჭდური ან ელექტრონული სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება სასწავლო კურსის შესწავლისთვის (აუცილებლად უნდა იყოს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში)
დამატებითი ლიტერატურა	მიეთითება შინაარსში გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ არსებული დამატებითი ლიტერატურა და სხვა რესურსი

სწავლის შედეგი

NQF*	კორსის სწავლის შედეგი	პროგრამის სწ,შ	ლექცია	სემინარი	სწავლება კლინიკურ გარემოში	სწავლება სიმულაციურ გარემოში	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	შეფასება
ცოდნა და გაცნობიერება									
უნარები									
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა									

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

კვირა (ან შეხვედრა)	თემატიკა	ლექცია	სემინარი	სსგ	სკგ
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10	**შუალედური გამოცდა**				
11					
12					
13					
14					
15	*თუ საგანი კლინიკურია **შუალედური გამოცდა ჩატარდება როტაციის** დასრულებისთანავე, სხვა შემთხვევაში კურსის შუაში.				
17-22	**დასკვნითი გამოცდა**				

დანართი 5

LLC Teaching University "BAU International University, Batumi "

შპს სასწავლო უნივერსიტეტი "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"

Assessment Sheet

შეფასების უწყისი N

Faculty სკოლა:	
Education Program საგანმანათლებლო პროგრამა:	
Education level სწავლების საფეხური:	

Year of Study სასწავლო წელი:	
Semester სემესტრი:	
Learning Course Code სასწავლო კურსის კოდი:	
Learning Course Title სასწავლო კურსის დასახელება (ინტეგრ. დისციპლინებითურთ):	
Integrated Disciplines ინტეგრირებული დისციპლინები	
Number of Credits კრედიტების რაოდენობა:	
Teacher's Status პედაგოგის სტატუსი:	Prof./Assoc.Prof./Assist.Prof/Invited Teacher პროფ./ასოც.პროფ./ასისტენტ პროფ./მოწვეული პედაგოგი:

№	Student's Name, Surname სტუდენტის გვარი, სახელი	Studen's ID სტუდენტის პირადი ნომერი	Assessment შეფასება			Current average rating შუალედური შეფასების კომპონენტების ჯამი max 60 sc	Final Exam დასკვნითი გამოცდა max 40 sc	Total Scores ქულათა ჯამი max-100 sc	Make-up Exam დამატებითი გამოცდა	Total Scores ქულათა ჯამი	Assessment საბოლოო შეფასება (A,B, C..)
			Current Activity მიმდინარე აქტივობა - max 40 sc;	Midterm Exam I შუალედური გამოცდა I - max 10 sc	Midterm Exam II შუალედური გამოცდა II - max 10 sc						
1											
2											
3											
4											
5											
6											

დადებითი შეფასებები:

(მიუთითეთ შესაბამისი შეფასების მქონე სტუდენტთა რაოდენობა)

A ფრიადი - 91-100 ქულა ----------;

B ძალიან კარგი - 81-90 ქულა ----------;

C კარგი - 71- 80 ქულა ----------;

D დამაკმაყოფილებელი - 61- 70 ქულა ----------;

E საკმარისი - 51-60 ქულა ----------

უარყოფითი შეფასებები:

FX ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50 %----------;

F ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 % ----------.

(უწყისი უნდა შეივსოს მკაფიოდ, მასში დაუშვებელია ჩასწორებები).

Teacher/Prof./პროფესორი/ მოწ. პედაგოგი:

Dean of Faculty/ სკოლის დეკანი:

Vice Rector/ რექტორის მოადგილე:

დანართი 6

შპს სასწავლო უნივერსიტეტი "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"

სასწავლო ბარათი

ფაკულტეტი	
პროგრამა	
სტუდენტის ID	
ეროვნული ID (პასპორტის ნომერი)	
სახელი	
გვარი	
სხვა სახელი	
ჩარიცხვის თარიღი	
ჩარიცხვის ბრძანება	
აკადემიური წლის დაწყების თარიღი	
აკადემიური წლის დამთავრების თარიღი	

N	კოდი	სასწავლო კურსი	სემესტრი	აკად. წელი	კრედიტი	ქულა	ანბ. აღ.
1							
2							
3							
4							
5							
6							
I სემესტრის ჯამური კრედიტი					0		
1							
2							
3							
4							
5							
6							
II სემესტრის ჯამური კრედიტი					0		
სასწავლო წლის ჯამური კრედიტები					60		
GPA 100%						82	
GPA						3.1	